ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
III ტური
2023 წელი

➢ *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(5) 1. გააანალიზეთ ნიუ-იორკის შესახებ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ნიუ-იორკის ადმინისტრაციული რუკა



ნიუ-იორკის მეტროპოლიტენი

(1) 1.1. რა ერქვა ქ. ნიუ-იორკს 1664 წლამდე?

ა) ახალი ლონდონი;
ბ) ახალი ბრიუსელი;
გ) ახალი დუბლინი;
დ) ახალი ამსტერდამი.

(1) 1.2. ქ. ნიუ-იორკის რომელ უბანშია ყველაზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა (ქალაქის მთლიანი მოსახლეობის 5.6%-ია)?

ა) სტეიტენ-აილენდში;
ბ) ბრუკლინში;
გ) ქუინსში;
დ) ბრონქსში.

(1) **1.3.** რომელია ნიუ-იორკის ადმინისტრაციულ რუკის ლეგენდა?

ა)	1 ბრუკლინი 2 მანჰეტენი 3 ბრონქსი 4 ქუინსი 5 სტატენ-აილენდი	ბ)	1 ბრონქსი 2 მანჰეტენი 3 სტატენ-აილენდი 4 ქუინსი 5 ბრუკლინი
გ)	1 სტეიტენ-აილენდი 2 მანჰეტენი 3 ბრონქსი 4 ქუინსი 5 ბრუკლინი	დ)	1 მანჰეტენი 2 ბრუკლინი 3 ქუინსი 4 ბრონქსი 5 სტატენ-აილენდი

(1) **1.4.** ფაუნის რომელი წარმომადგენლებია გამოსახული ქ. ნიუ-იორკის ბეჭედზე?

ა) თეთრთავა ბატკანძერი და ნუტრია;
ბ) თეთრთავა ფსოვი და თახვი;
გ) თეთრთავა კონდორი და წაულა;
დ) თეთრთავა ქორი და მაჩვი.



(1) **1.5.** რომელი კლიმატური დიაგრამის მონაცემები შეესაბამება ქ. ნიუ-იორკში გავრცელებულ ნოტიო სუბტროპიკულ ჰავას?



➢ *შესაბამისობის დადგენა - დავალება № 2 - 4*

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(6) 2. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	ადგილის ფოტო / გეოგრაფიული ინფორმაცია	სახელმწიფო
ნიმუში	 *ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ფარგლებში მდებარეობს ტალახის ვულკანების ბუნების ძეგლი ტახტი-ტევა.*	*საქართველო*
1	 ჯიგოკუდანის მაიმუნების პარკი (ზღ.დ.850 მ.). თბილი გეოთერმული წყაროსა და ჰაერის ტემპერატურას შორის განსხვავება ზამთარში ადგილზე წარმოქმნის ორთქლს, რის გამოც მას „ჯოჯოხეთის ხეობის“ სახელით მოიხსენიებენ.	

2	 ქვეყნის უმაღლეს მწვერვალ ბენ-ნევისი (ზღ.დ.1344 მ.) ანუ „ბოროტი მთა“ დიდი ალბათობით კლიმატის გამო დაერქვა, რადგან მთელი წლის განმავლობაში აქ მხოლოდ რამდენიმე დღეა მზიანი და უღრუბლო.	
3	 პორორროკა - მოქცევის ტალღა მდ. ამაზონზე სერფერებისთვის მიმზიდველი მოვლენაა. სერფერები აქ მოხვედრას 23 სექტემბრისთვის გეგმავენ.	

4	 დიდ არტეზიულ აუზში პირველი ჭაბურღილი 1878 წელს გაიბურღა. მისი წყალი გამოიყენება როგორც საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, ასევე სარწყავად სოფლის მეურნეობაში.	
5	 დენალის ეროვნული პარკის მოსანახულებლად ჩასული ვიზიტორები ნებისმიერ დროს შეიძლება გზაზე მოსეირნე ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლებს გადაეყარონ.	

6	 ასუანის კაშხალის მშენებლობის შედეგად წყლის დაგუბებამ დატბორვის საშიშროება შეუქმნა არაერთ ისტორიულ-კულტურულ ძეგლს. მათ შორის იყო კლდეში ნაკვეთი ტაძარი - აბუ-სიმბალი (ძვ. წ. XIII ს), რომლის უსაფრთხო ადგილზე გადატანა იუნესკომ უზრუნველყო.	

(6) 3. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	წყალსატევი	კონტინენტი სადაც მდებარეობს	წყალსატევის წარმოშობა
ნიმუში		*ევროპა*	*ანთროპოგენური*

1	დერიბეს ტბა (დარფურის პლატო)		
2	პეიტო (კლდოვანი მთები)		
3	ბაიკალი (აღმ. ციმბირის სამხ. ნაწილი)		

4	ტბა მდ. მისისიპისთან, შტატი ლუიზიანა		
5	მარაკაიბო (სულიას დაბლობი)		
6	იკ-კილის სენოტი / წნოტი (იუკატანის ნ-კ)		

(6) 4. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	ფოტო	სახელმწიფო	რეგიონი
ნიმუში		*იტალია*	*ლომბარდია*
1			
2			

3	იფის ციხე (ქ. მარსელი)		
4	სენტ-ემილიონის კომუნა (ქ. ბორდოსთან)		
5	უფიცის გალერეა (ქ. ფლორენცია)		
6	ბაზილიკა სან-მარკო (ქ. ვენეცია)		

➢ *ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 5-7*

ინსტრუქცია
გააანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(4) 5. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



(3) 5.1. განსაზღვრეთ რა რისკის წინაშე აღმოჩნდნენ აფრიკის კონტინენტის ქვეყნები 2022 წელიდან და რა ფაქტორმა განაპირობა ეს რისკი? პასუხი ახსენით.

(1) 5.2. ამ რისკის თავიდან ასაცილებლად რომელი საერთაშორისო ორგანიზაციაა ჩართული პროცესების დარეგულირებაში?

(6) 6. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა. საქართველოში პირველი ოფიციალური ნაკრძალი 1912 წელს, კახეთში შეიქმნა.

საქართველოს კანონმდებლობით ქვეყანაში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. დღეისათვის საქართველოში დაცული ტერიტორიების ხუთი კატეგორიაა წარმოდგენილი.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ფენომენია არაცოცხალი (არაორგანული) ბუნების ძეგლები (77 ასეთი ძეგლი წითელ წიგნშია შეტანილი). არაორგანული ბუნების ძეგლების ორი ჯგუფი გამოიყოფა: გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური. მათ შორის აღსანიშნავია: აბანოს მინერალური ტბის, ბოდორნის კლდის სვეტების, გოდერძის ნამარხი ტყის, თრუსოს ტრავერტინების, მდ. აბაშის ჩანჩქერის, ქეთერისის მინერალური ვოკლუზის, როშკის ლოდების, ცუცხვათის მღვიმოვანის და სხვ.

(1) **6.1.** რომელია საქართველოში შექმნილი პირველი ნაკრძალი?

---

(1) **6.2.** რომელი სახის დაცული ტერიტორია *<u>არ არსებობს</u>* საქართველოში?

---

(2) **6.3.** ჩამოთვლილი არაორგანული ბუნების ძეგლებიდან, რომელი მიეკუთვნება გეომორფოლოგიურ-გეოლოგიურ ჯგუფს (დაასახელეთ ორი ბუნების ძეგლი)?

---

(2) **6.4.** ჩამოთვლილი ბუნების ძეგლებიდან, რომელი მიეკუთვნება ჰიდროლოგიურ ჯგუფს (დაასახელეთ ორი ბუნების ძეგლი)?

---

(12) 7. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:







1900 წ.
2010 წ.
ბოსონის მყინვარი


1900 წ.
2010 წ.
ფერპედეს მყინვარი


AMO ინდექსი (°C, ტემპერატურის ცვლილება)
მყინვარების სიგრძის ცვლილება (მ)
0.9
0.7
0.5
0.3
0.1
-0.1
-0.3
-0.5
0
-20
-40
-60
-80
-100
-120
-140
-160
-180
-200
1850 1860 1870 1880 1890 1900 1910 1920 1930 1940 1950 1960 1970 1980 1990 2000 2010 2020



ჰაერის საშ. ტემპერატურის დინამიკა ზაფხულში
1851-2020 წწ. (ზღ.დ. 2200 მ)





PARIS2015
UN CLIMATE CHANGE CONFERENCE
COP21·CMP11

(1) **7.1.** რომელ მთიან სისტემაზეა მოცემული ინფორმაცია დავალებაში?

(1) **7.2**. როგორია დავალებაში აღწერილი მთიანი სისტემის მყინვარების ფართობის დინამიკა ბოლო ასი წლის განმავლობაში?

(1) **7.3**. რომელი გლობალური გეოგრაფიული პროცესი განაპირობებს დავალებაში აღწერილ ვითარებას?

(2) **7.4.** მოცემულ მთიან რეგიონში ყველაზე მეტად ტურიზმის რომელი დარგის დეგრადაციას გამოიწვევს გლობალური პროცესის ტენდენციის ამგვარი გაგრძელება? დაასახელეთ ამ დარგის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი მეტეოროლოგიური ფაქტორი?

(2) **7.5.** რომელი საერთაშორისო სპორტული ფორუმები იმართება რეგიონში არსებულ მაღალმთიან კურორტებზე (შამონი, სან-მორიცი, ალბერვილი და სხვ.) და აღნიშნული გლობალური ბუნებრივი პროცესის ტენდენციების გათვალისწინებით, რა დამატებითი ხარჯების გაწევა უხდებათ ფორუმების ორგანიზატორებს?

(2) **7.6.** ახსენით, როგორი იქნება მყინვარების ფართობის ცვლილების დინამიკა მომავალი ასი წლის განმავლობაში გლობალურ პროცესებში აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში და რა იქნება ამ ტენდენციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი?

(3) **7.7.** რა საკითხს ეძღვნებოდა პარიზის კონფერენცია, რომლის ლოგოც მოცემულია დავალებაში და რა შეთანხმება იქნა მიღწეული აღნიშნულ კონფერენციაზე? არის თუ არა საქართველო ამ შეთანხმების ხელმომწერი?